ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №11
2024 წლის 16 მაისი

ქ. ყვარელი

ყვარლის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-11 პუქტის, მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „რ“ ქვეპუნქტის, „ეკონომიკის რეგულირებადი სფეროების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 დეკემბრის №667 დადგენილების მე-2 მუხლის საფუძველზე, ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს ყვარლის მუნიციპალილტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტები დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ამ დადგენილების დანართით დამტკიცებული მარშრუტების შესაბამისად, ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანას ახორციელებს ყვარლის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ყვარლის კეთილმოწყობის სამსახური“ – ს/ნ 441563540.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ყვარლის მუნიციპლიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — ილია მზექალაშვილი

დანართი

ყვარლის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტები

მარშრუტის №	ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტები	მარშრუტის უკამიმართულება	ავტობუსების (M3 კატეგორია) ყოველდღიური რაოდენობა
1	• მთისძირის ცენტრიდან სტადიონის ზემოდან • გაჩერება მთისძირის ამბულატორია 11:03 • თხილისწყარო 11:10	წრიული	1
1	• ბალღოჯიანის დასახვევი 11:17 • ბალღოჯიანის შესასვლელში სკვერთან 11:27, გაჩერება 3 წუთი • ბალღოჯიანის დასახვევში ცენტრალურ გზასთან 11:40	წრიული	1
	• ახალსოფლის შესასვლელი 11:42		

1	• ახალსოფლის ცენტრი 11:46 • თივის ასახვევი 11:52 • ზინობიანის დასახვევი 11:55	წრიული	1
1	• ჭიკაანი „იმერლების“ უბნის გადასახვევთან 12:00 • ჭიკაანი სკოლასთან 12:03 • ჭიკაანი სასაფლაოსთან 12:05 • გავაზის ამბულატორია 12:10 • გავაზის ცენტრი 12:13 • ქუდურები 12:20 • კუჭატნის გადასახვევი 12:24 • სანავარდოს ცენტრი 12:26	წრიული	1
1	• ქ. ყვარელი, ილია ჭავჭავაძის ქუჩა №2 12:32 • ქ. ყვარელი, ილია ჭავჭავაძის ქუჩა №36 12:34 • პირველ საბავშვო ბაღთან • ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია 12:37 • 9 აპრილის სკვერი 12:40	წრიული	1
2	• შაქრიანის ცენტრი 13:30 • გრემის მთავარანგელოზის ეკლესიასთან 13:39 • გრემის საბავშვო ბაღთან 13:41 • გრემი ეჟვიაანთ უბნის მიმდებარედ 13:44	წრიული	1
2	• ალმატის ცენტრი 13:49 • საბუის ცენტრი • ენისელი სტადიონის მიმდებარედ 14:00 • ენისლის ცენტრალური გზაჯვარედინი 14:01 • ენისელის სასაფლაოსთან 14:03	წრიული	1
2	• შილდის შესასვლელი 14:07 • „კონცხის“ უბნის გადასახვევთან 14:10 • „ჩელთის“ უბნის გადასახვევი 14:12 • საბავშვო ბაღის გადასასვლელი14:14 • შილდა ცენტრი 14:16 • შილდა =2= საბავშვო ბაღის გადასახვევი ზედა 14:19 • „ვეძიხევის“ გადასახვევი =2=14:20 • შილდის ბოლო ცენტრალურ გზამდე 14:24	წრიული	1
2	• ქ. ყვარელი ილია ჭავჭავაძის ქუჩა № 2 12:32 • ქ. ყვარელი, ილია ჭავჭავაძის ქუჩა №36 • პირველ საბავშვო ბაღთან	წრიული	1

	• ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია • „9 აპრილის“ სახელობის სკვერი		